

სიტყვათა სინონიმური ხმარებისათვის  
**ზერელე — ზედაპირული**

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით კი პრესის ფურცლებზე, პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება სიტყვები **ზერელე** და **ზედაპირული**, აგრეთვე — მათგან ნაწარმოები **ზერელედ**, **ზერელობა**, **ზედაპირულად**, **ზედაპირულობა**. როგორც **ზერელე**, ისე **ზედაპირული** (**ზედაპირიც კი!**) არ დასტურდება არც ძველ ტექსტებში, არც საბას ლექსიკონში, არც ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ვფიქრობთ, **ზერელე** რომელიმე (დასავლური?) დიალექტიდან უნდა იყოს შემოსული (მდრ. დასავლურივე **ზორელე**). **ზედაპირული** კი წიგნური (ტერმინოლოგიური) წარმოშობისა ჩანს. იგი გვხვდება 1920 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონში“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) **ზედაპირულის** შესახებ შემდეგს გვამცნობს:

**ზედაპირულ-**ი (ზედაპირულისა) სპეც. I. რაც ზედაპირზეა; რაც ზედაპირს ხება, ზედაპირისა. ზედაპირული დაქიმულობა. — ზედაპირული ტალღა. — სინესტის შენარჩუნების მიზნით ყოველი წვიმის ან მორწყვის შემდეგ ვახდენთ ნიადაგის ზედაპირულ გაფხვიერებას („კომუნისტი“). 2. გადატ. იგივეა, რაც **ზერელე** (ამ გაგებით „ზედაპირულის“ ხმარება სწორი არ არის). — ნინოშვილმა... კრიტიკის ცეცხლით გაანადგურა... წვრილბურჯუაზიული, ლიბერალური, ზედაპირული... თვალსაზრისი, რომელსაც „მეველე“ და „პლებსი“ იცავდნენ („სახალხო განათლ.“).

ვინაიდან ამ განმარტების მეორე მნიშვნელობაში მითითებულია **ზერელე** სიტყვაზე (იგივეა, რაც **ზერელე** o), მოკლედ შევეხებით ამ სიტყვის ხმარებასაც. იმავე განმარტებით ლექსიკონში **ზერელეს** შესახებ ვკითხულობთ:

**ზერელე** (ზერელესი) ზედა ფენებში, ზევით მყოფი, — ზედაპირული, ზევითა. — კოლმეურნეობაში შეხვდებით ნათესების ზერელე გათოხნის ფაქტებს („კომუნისტი“). || გადატ. ისეთი, რაც საქმის არ-

სებით მხარეს არ ეხება, საქმეში ღრმად ჩაუხედავი, არაარსებითი, — არასერიოზული, ფუქსავატი. ზერელე განათლება. — საგნის ზერელე ცოდნა. — ზერელე მოაზროვნე. — ადგილობრივ პრესაში სოფლის მეურნეობის საკითხებზე ხშირად იბეჭდება ზერელე მასალა („კომუნისტი“). მიღებული დადგენილებები ზერელეა, ზოგადი („ახალგ. კომუნისტი“)<sup>1</sup>.

გამოთქმები **ზერელე ხვნა, ზერელე თონა** არ შეიძლება ენაში „გუშინდელ გაჩენილად“ მივიჩნიოთ.

**ზედაპირული და ზერელე**, როგორც აქ მოხმობილი განმარტებებიდანაც ჩანს, თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით ახლოს დგანან ერთმანეთთან. ორივეს ერთი და იგივე სიტყვა უპირისპირდება — **ღრმა**. ორივე სიტყვისაგან ანალოგიურად იწარმოება ზმნისართი და აბსტრაქტული სახელი (**ზერელედ, ზერელობა ზედაპირულად, ზედაპირულობა**). ჩვენი მიზნებისათვის ამ ნაწარმოებ სიტყვათა ცალ-ცალკე განხილვა არც საჭიროა და არც აუცილებელი. საილუსტრაციო მასალაში მათ ამოსავალ სიტყვებთან ერთად განვიხილავთ.

აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი იმის საჩვენებლად, რომ **ზერელე და ზედაპირული** ერთ-ერთი თავისი (ძირითადი) მნიშვნელობით მსგავს კონსტრუქციებში იხმარება. შდრ., ერთი მხრით:

ნაგალა ხეხილს მრავალ დადებით თვისებასთან ერთად ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეც აქვს. სახელდობრ, დიდ მოთხოვნებს უყენებს გარემო პირობებს, ახასიათებს ფესვთა სისტემის ზერელე განვითარება (**გ. ჭომარღა**). [სამოთხის ვაშლს] ფესვთა სისტემა ზერელედ, ნიადავის ზედა ფენებში აქვს განლაგებული (**საქ. მეხილ., III**)<sup>2</sup>.

მეორე მხრით:

კომპის ფესვთა სისტემა ძლიერ წვრილი დატოტვით ხასიათდება, ამასთან, ნიადაგში ზედაპირულად ვითარდება (**ლ. ბერძენ.**). დუსენის, მით უმეტეს,

<sup>1</sup> განმარტებით ლექსიკონში მიღებული წესების თანახმად, რამდენიმე მნიშვნელობის მქონე სიტყვის ყოველი მნიშვნელობა ცალკე ნომრითაა გამოყოფილი, ხოლო, თუ მნიშვნელობებს შორის სხვაობა არაა მკვეთრად გამოხატული, გასაყოფ ნიშნად პარალელური ხაზები (||) იხმარება. ამ წესის მიხედვით, თითქოს ლოგიკური არ უნდა იყოს ზერელე სიტყვა-სტატივაში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების პარალელური ხაზებით გამოყოფა და, პირუკუ, სიტყვა ზედაპირულად იხმარება, თუ ორი მნიშვნელობის ნომრებით დაყოფა, მით უმეტეს, რომ ლექსიკონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მეორე (გადატანითი) მნიშვნელობით, ზედაპირულის ხმარება მართებული არ არის. აქვე შეიძლება დავძინოთ, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთგომეულში ზერელე სიტყვა ორ მნიშვნელობადაა მოცემული, ხოლო ზედაპირულს მეორე (ე. ი. გადატანითი) მნიშვნელობა საერთოდ არა აქვს ნაჩვენები.

<sup>2</sup> საილუსტრაციო მაგალითებში დაყოფა ყველგან ჩვენია.

პარადისის სუსტ საძირეთა ფესვები... გარდა იმისა, რომ ზედ აპირულად ვითარდება, ძლიერ მტვრევადია (ლ. ბერძენი).

შდრ. აგრეთვე ტერმინოლოგიური გამოთქმები:

|                               |                            |
|-------------------------------|----------------------------|
| ზერელე ხენა                   | ზედაპირული გადახენა        |
| ზერელე თოხნა                  | ზედაპირული აოშვა           |
| ნიადაგის ზერელე<br>დამუშავება | ზედაპირული დამუშავება      |
| ზერელე კულტივაცია             | ზედაპირული გაფხვიერება     |
|                               | ზედაპირული წრთობა          |
|                               | ზედაპირული აორთქლება       |
|                               | ზედაპირული ფენები და მისთ. |

ამ ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით, **ზერელემ და ზედაპირულმა** რიგ შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთი შეცვალონ. მაგ., სასებით დასაშვებია „ნიადაგის **ზერელე** დამუშავება“ და „ნიადაგის **ზედაპირული** დამუშავება“; „**ზერელე** ხენა“ და „**ზედაპირული** ხენა“, მაგრამ არ გამოდგება, „ლითონის **ზედაპირული** წრთობის“ ნაცვლად რომ ვინმართ „ლითონის **ზერელე** წრთობა“ (უკანასკნელი წინადადება სხვა მნიშვნელობას იძენს, ე. ი. წრთობა არა ისეთი, როგორც საჭიროა, არამედ ნორმების დარღვევით...). ასევე „**ზედაპირულ** დაჭიმულობას“ ვერ შეცვლის „**ზერელე** დაჭიმულობა“.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით **ზერელე** და **ზედაპირული** ნაწილობრივი სინონიმებია.

მაგრამ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება, როდესაც მა სიტყვათა გადატანით მნიშვნელობას განვიხილავთ. აქ **ზერელე** და **ზედაპირულ**-სიტყვების ფუნქციები დიდად შორდებიან ერთმანეთს. უფრო ზუსტად, **ზერელეს** აქვს გადატანითი მნიშვნელობა, **ზედაპირულს** კი — არა. მართალია, იყენებენ **ზედაპირულსაც** გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ უმართებულოდ. **ზედაპირულს** ვერ განუვითარდა გადატანითი მნიშვნელობა. ამის მიზეზი ალბათ ის უნდა იყოს, რომ **ზედაპირულთან** შედარებით **ზერელე** უფრო ზოგადი სემანტიკისაა. **ზედაპირული** ყოველთვის იწვევს რაღაც რეალურ, კონკრეტულ: საგანთან, რაღაცის ზედაპირთან მიმართების ასოციაციას. ამიტომ ამ სიტყვის ხმარება აბსტრაქტულ სახელებთან (როგორცაა, მაგალითად, ცოდნა, გაგება, გაცნობა, შთაბეჭდილება, აზროვნება, თვალსაზრისი და მისთ., რომელთაც ზედაპირის გაგება არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ) არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ. ამ მნიშვნელობით იხმარება და უნდა იხმარებოდეს კიდევაც **ზერელე**. ამ სიტყვის გამოყენება აბსტრაქტულ სახელებთან არაარსებითის, არა-

საფუძვლიანის, არასერიოზულის მნიშვნელობით ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითები:

რევზ ინანიშვილისათვის უცხოა ცრუბათეტიკა და ზერელე ამალღებულობა („ლიტ. საქ.“). ჯერ კიდევ ადგილი აქვს თარგმანისადმი ზერელე დამოკიდებულებას („ლიტ. საქ.“). ჩვენ ზოგჯერ ზერელე დვუტკერით მოვლენებს („ლიტ. საქ.“). ეს არის პოეზიაში... გრძნობათა ზერელობის, სიმჩატის, ყალბი ოპტიმიზმის პრინციპული უარყოფა („მნათ.“). ამგვარი პრობლემის ნაჩქარევია, ზერელე და, რაც მთავარია, გულვრილი დამოკიდებულება ყოვლად გაუმართლებელია („კომ.“)...

ამის საპირისპიროდ **ზედაპირულის** ხმარება გადატანითი მნიშვნელობით სრულიად არაბუნებრივია, სტილის თვალსაზრისით — გაუმართავე, შინაარსობრივად — ძნელად აღსაქმელი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია ისეთი წინადადებებით, რომლებშიც **ზედაპირული** სწორედ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

ამის ნიმუშებია:

როდესაც აკვირდებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ზოგჯერ თვალში გეცემათ ცხოვრების მოვლენათა პრიმიტიული, ზედაპირული წარმოსახვა („ლიტ. გაზ.“). ... დიდი ნაწილი სქემატურობის და ზედაპირული მხატვრული აზროვნების იერს ატარებს („ლიტ. და ხელ.“). ხშირად მდგომარეობის ანალიზი ზედაპირულია („ახ. კომ.“). ფრიდრიხის როლის შემსრულებელი მსახიობის... აქტიორული ხერხები ვერ არის ჯერ კიდევ სრულყოფილი, ამიტომ მისი შესრულება ზედაპირულია („კომ.“). სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი... პიესაში მოცემული ამბების ზედაპირული ილუსტრაციით დაკმაყოფილდა („კომ.“). ის სტატიები, რომლებიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებებზე გამოქვეყნდა, მეტწილად ზედაპირულია („ლიტ. და ხელ.“). ზოგჯერ კონტროლს იყენებენ მხოლოდ ზედაპირული გამოკვლევისა და ვრცელი ცნობების შესადგენად („კომ.“). და მართლაც, მან, ვინც ზედაპირულად მაინც იცის გალაკტიონის შემოქმედება, არ შეიძლება არ შეამჩნიოს, რამდენად დიდი იყო პოეტის სიყვარული აფხაზეთისა და მისი ხალხის მიმართ („ციხე.“). ბოლო ჩანებში მოდად იქცა არაკომპეტენტურ პირთა (მათ შორის ეკონომისტთა) მხრივ დიდი საკავშირო მოვლენების, კერძოდ ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლების ზედაპირული შეფასება („თბილ.“). ისევე, როგორც ყოველ მოვლას, მასაც ჰქონდა ნებისა თუ უნებლიეთ ზედაპირული დიმილი („დ. ლიან.“). ...მხოლოდ ის იცოდ, რომ მექანიკა ფიზიკის ერთ-ერთი დარგია, ეს ცოდნა კი სრულიად არ კმარადა წიგნის თუნდაც ზედაპირული გავებისათვის („თ. მაღლ.“). ასეთები ყველაფერზე მსჯელობენ, მაგრამ ზედაპირულად, საკითხის ღრმა ცოდნის გარეშე („ახ. კომ.“). რაციონალიზაციისა და საგამომგონებლო ბიუროები ხშირად ზედაპირულად ეკიდებიან ახალგაზრდა რაციონალიზატორთა შემოქმედებით ზრდას („ახ. კომ.“). შეიძლება ასეთი შეცდომები კრიტიკული ლიტერატურის ზედაპირულ გაცნობას მიეწიროს („ლიტ. საქ.“). ... ამიტომ საუბრებაც უფრო ზედაპირული, ნაჩქარევი და, თითქოს, უგულოცაა („თბილ.“). მაგრამ გულისტკივილით უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს ცოდნა ხშირად ვიწროა ანდა ზედაპირული („კომ.“). უნდა ვაღრმავდეს შემოქმედე-

ბითი ძიების გზები, ავამაღლოთ პროფესიონალიზმი, უარყვით ზედაპირული აზროვნება („ლიტ. საქ.“). მაგრამ პრობლემა არაა ბოლომდე გააზრებული და ზოგადად სწორი ციტირებული შეხედულება რჩება მოვლენათა ზედაპირული განხილვის დონეზე („ლიტ. საქ.“). მის ამგვარ გახედვაში უთუოდ იხატებოდა ერთგვარი არტისტიზმიც — რა თქმა უნდა, ბუნებრივი, ანუ არსისეული, და არა ხელოვნური, არა ზედაპირულად მოხმობილი („ლიტ. საქ.“). ... მისი პათოსი, ძირითადად, სწორია. იგი მიმართულია შემოქმედებითი ზედაპირულობის, თვითკმაყოფილების წინააღმდეგ, მწერლობისაგან მოითხოვს მხატვრულ სიღრმეს და მასშტაბურობას და, რაც მთავარია, თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას, მოქალაქეობრივ აქტივობას (ლიტ. საქ.).

გამორიცხული ალბათ არც ის არის, რომ ზედაპირულის გაგრძელებაში გარკვეული წილი რუსულ **поверхностный**-ს ჰქონდეს. როგორც ცნობილია, **поверхность** ქართულად არის **ზედაპირი**, აქედან **поверхностный** **ზედაპირული**: მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსული **поверхностный** ორი მნიშვნელობით იხმარება—პირდაპირი და გადატანითი. პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ **поверхностный**-ს ქართულად შეესატყვისება როგორც **ზედაპირული** (უფრო ხშირად), ისე **ზერეფლეც** (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები). ხოლო გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული **поверхностный**-ს ქართული შესატყვისი იქნება მხოლოდ **ზერეფლეც**. შდრ. **поверхностный взгляд** — **ზერეფლე შეხედულება** (და არა: ზედაპირული შეხედულება); **поверхностные знания** — **ზერეფლე ცოდნა** (და არა: ზედაპირული ცოდნა); **поверхностные суждения** — **ზერეფლე მსჯელობა** (და არა: ზედაპირული მსჯელობა. ვაჟასთან გვხვდება: „ღმერთო, რა ზერეფლედ მსჯელობს ადამიანი“); **поверхностное образование** — **ზერეფლე განათლება** (და არა: ზედაპირული განათლება); **поверхностное отношение к делу** — **საქმისადმი ზერეფლე დამოკიდებულება** (და არა: საქმისადმი ზედაპირული დამოკიდებულება) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ გადატანითი მნიშვნელობით **ზედაპირულის** ხმარება **ზერეფლეს** ნაცვლად უმართებულოა, სამწუხაროდ, მრავალ შემთხვევაში რჩება „ხმად მლაღადებლისა“. ენა კი ნაგვიანდება ისეთი უმართებულო გამოთქმებით, როგორცაა **ზედაპირული აზროვნება**, **ზედაპირული ღიმილი** და მისთ.

სათანადო რედაქციებმა და სტილისტებმა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.